<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---დეკემბერი 2021 წელი

ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ადამ მიცკევიჩის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერისთვის მომღერალ თემურ წიკლაურის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. საბურთალოს რაიონში, ადამ მიცკევიჩის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერს მიენიჭოს მომღერალ თემურ წიკლაურის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

Footprint

South Broadway
South Broadway
South Broadway
South Broadway
South Broa
21
21
19B
19C
17
17

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
კულტურის, განათლების,
სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა
საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **19-0121154956**
თარიღი: **03/06/2021**
პინი: **8866**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს
ბატონ მიხეილ ამაშუკელს

ბატონო მიხეილ,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურში, სიმონ ჩიქოვანის ქუჩის მაცხოვრებლების სახელით შემოსულია წერილი (N22/01211481291-01, 28.05.2021წ), რომელიც სიმონ ჩიქოვანის ქუჩისთვის თემურ წიკლაურის სახელის მინიჭების საკითხს ეხება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის შესაბამისად, გიგზავნით აღნიშნულ წერილს შემდგომი რეაგირებისათვის და გთხოვთ, გადაწყვეტილების შესახებ აცნობოთ განმცხადებელს.

დანართი: 2 გვერდი.

პატივისცემით,

ირაკლი გვილავა

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქ. თბილისის მერს
ბატონ კახა კალაძეს

ბატონო კახა,

ქ. თბილისის, სიმონ ჩიქოვანის ქუჩის მცხოვრებნი, მოგმართავთ თხოვნით, ს. ჩიქოვანის ქუჩას შეეცვალოს სახელი და ეწოდოს თემურ წიკლაურის ქუჩა.

ამასთანავე, სახლზე (ს. ჩიქოვანის ქ. №24ა, II სადარბაზო), სადაც 40 წლის მანძილზე ცხოვრობდა საქართველოს სახალხო არტისტი, თბილისის საპატიო მოქალაქე, განთავსდეს მემორიალური დაფა.

"მზიურის" პარკში, სადაც ათეული წლების მანძილზე ცხოვრების დიდ დროს ატარებდა და იყო მისთვის საყვარელი ადგილი, დაიდგას თ. წიკლაურის ძეგლი (წერილს თან ერთვის ოჯახის მიერ მოწონებული ძეგლის ესკიზი, ავტორი ე. სააკაძე). ვფიქრობთ, ეს ნამუშევარი მისი პიროვნებისა და შემოქმედებითი ნატურის ერთ-ერთი მხარის გამოხატულებაა. სწორად იმ თვისებების, რომელიც "მზიურს", როგორც საბავშვო-ახალგაზრდულ დასვენების ადგილს, ზუსტად მიესადაგება. იმედია, საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, საკონკურსო კომისია გაითვალისწინებს ოჯახისა და ხელოვნების მოღვაწეების, მისი მეგობრების აზრს.

წინასწარ გიხდით მადლობას, ჩვენი ქუჩის მცხოვრებთა და თემურ წიკლაურის მრავალათასიანი თაყვანისმცემელთა სახელით.

საინიციატივო ჯგუფის სახელით,
ნ. მაჭავარიანი (ტელ.: 599540494)
შვილი ქ. წიკლაური (ტელ.: 599949545)
25.05.2021

01026005788
01008005602

28.05.21
ს. ჩიქოვანის 24ა
8.35











IDENTITY CARD

GEO

საქართველო

სახელი / FIRST NAME
ნუგზარ
NUGZAR

გვარი / LAST NAME
მაჭავარიანი
MACHAVARIANI

მოქ. / CIT	სქესი / SEX	პირადი No / PERSONAL No
GEO	მამ / M	01026005788

დაბადების თარიღი DATE OF BIRTH	მოქმედების ვადა DATE OF EXPIRY
26.03.1963	27.08.2024

ბარათის No / CARD No
13IG12177

ხელმოწერა
SIGNATURE



დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
საჩხერე
SACHKHERE
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
27.08.2014
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
დამამზადებელი: სრს; დამამზადებელი: MB-IDS 2014
სუსგ-ს რეგისტრაციის № 26-3184

I<DGE013IG1217760102600578 8<<<<
6303264M2408275GEO<<<<<<<<<<<1
MACHAVARIANI<<NUGZAR<<<<<<<<<<

თემურ წიკლაური

(1946-2021)

მომღერალი,საქართველოს სახალხო არტისტი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, თბილისის საპატიო მოქალაქე, ღირსების ორდენის კავალერი

დაამთავრა თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტი 1972 წელს. 1967 წლიდან იყო საქართველოს ფილარმონიის სოლისტი; 1967–1972 წლებში იყო ანსამბლ "ციცინათელას" წევრი, 1972 წლიდან ანსამბლ "ივერიას" სოლისტი; მის რეპერტუარში შედიოდა ქართველ კომპოზიტორთა სიმღერები, მათ შორის: "ჩემი თბილისი და ფიროსმანი","საქართველოს მანანებო","იყიდება საქართველო", "დინამო"; ა.ბასილაიას მიუზიკლები „არწივი მეფე აიეტი“, როლები კინოფილმებში: "სინათლე ჩვენს ფანჯრებში", "ივერია, სიყვარული და...", "უმცროსი და", "ჩხიკვთა ქორწილი", "არგონავტები"; 2014 წელს გაიხსნა ვარსკვლავი თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზთან; საესტრადო მომღერალი.

1980 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება, 1990 წელს კი საქართველოს სახალხო არტისტის წოდება, 1997 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით, 2010 წელს თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება.

2014 წლის 23 იანვარს თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზთან თემურ წიკლაურის ვარსკვლავი გაიხსნა.

გარდაიცვალა 2021 წლის 1 თებერვალს, დაკრძალულია კოჯორში.